საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

2010 წლის ანგარიში

სარჩევი

I. ვინ ვართ ჩვენ 4

II. რა გაკეთდა 2010 წელს....6

2. 1 მნიშვნელოვანი ნაბიჯები 6

2.1.1. ანალიტიკური დეპარტამენტის რეორგანიზაცია 6

2.1.2. დანაშაულის სოციოლოგიური კვლევა 6

2.1.3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპლემენტაცია....7

2.1.4. სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები....8

2.1.5. სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა 9

2.1.6. საგამოძიებო სანიშნეები....9

2.1.7. სტატისტიკის კონცეფცია - უწყებათაშორისი მემორანდუმი 9

2.1.8. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია.... 10

2.1.9. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა 10

2.1.10. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციონალიზაცია.... 11

2.1.11. კომპიუტერული დანაშაულის კანონპროექტი.... 11

2.1.12. სამართალდამცავ ორგანოებსა და ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი 12

2.1.13. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონპროექტი 12

2.1.14. დაზარალებულთა საკონსულტაციო ცენტრები 12

2.1.15. განრიდებისა და მედიაციის პროექტი 13

2.1.16. განრიდება (ტრანსაქცია).... 13

2.1.17. პროექტი „არჩევანი შენზეა“.... 14

2.1.18. სტატიების კონკურსი თემაზე „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეფექტური მექანიზმები“ 14

2. 2 სამართლებრივი კვლევა და ანალიზი 15

2.3. ანგარიშები და კითხვარები 16

2.3.1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) 17

2.3.2. სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO) 17

2.3.3. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და კითხვარები 17

2.3.4. შიდა ანგარიშები 18

2.4 ღონისძიებები 18

2.5 სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელობა 19

2.6 საერთაშორისო წარმომადგენლობა და ვიზიტები 19

2.7. სხვა აქტივობები 21

III. რას ვაპირებთ - ჩვენი სამომავლო გეგმები: 21

I. ვინ ვართ ჩვენ

ანალიტიკური დეპარტამენტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის ხელშეწყობა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და დანაშაულის პრევენცია;
- სტრატეგიული მნიშვნელობის საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება და იმპლემენტაცია;
- სისხლის სამართლის საქმისწარმოების ინტეგრირებული სისტემის შემუშავება და დანერგვა;
- ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან (OECD, GRECO) ანგარიშების წარდგენა;
- სოციოლოგიური კვლევების ჩატარების ხელშეწყობა და შედეგების ანალიზი;
- სტატისტიკა - მეთოდოლოგია და ანალიზი;
- კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და კვლევითი პროექტების მართვა;
- სამართლებრივი კვლევებისა და სიახლეების მომზადება;
- ტრეფიკინგი და ოჯახში ძალადობა.

ანალიტიკური დეპარტამენტის შემადგენლობა

ოთარ კახიძე, დეპარტამენტის უფროსი, იურისტი, სამართლის მაგისტრი.

რუსუდან მიხელიძე, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ჰელსინკის უნივერსიტეტი), კავკასიის სამართლის სკოლის ლექტორი.

ნინო სარიშვილი, კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, კავკასიის სამართლის სკოლისა და ილიას უნივერსიტეტის ლექტორი.

მარიამ ვარდოსანიძე, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, ბიზნესისა და სამართლის მაგისტრი (ბუცერიუსის სამართლის სკოლა).

გურანდა ხოხობაშვილი, დეპარტამენტის მრჩეველი, ფრანგული ენის მთარგმნელ-თარჯიმანი, პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი (ნანტერის უნივერსიტეტი).

ზურაბ სანიკიძე, სტრატეგიული განვითარების სამმართველოს მრჩეველი, იურისტი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურის სტუდენტი - გაეროს საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების უნივერსიტეტი (UNICRI).

თინათინ სურგულაძე, კვლევისა და ანალიზის სამმართველოს მრჩეველი, ზოგადი, სამედიცინო და გამოყენებითი ფსიქოლოგიის სპეციალისტი, სოციოლოგიური კვლევის მაგისტრი (ედინბურგის უნივერსიტეტი).

ნატალია ბარათაშვილი, დეპარტამენტის სტაჟიორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, სპეციალობა - საერთაშორისო სამართალი.

II. რა გაკეთდა 2010 წელს

2. 1 მნიშვნელოვანი ნაბიჯები

2.1.1. ანალიტიკური დეპარტამენტის რეორგანიზაცია

2010 წლის სექტემბრამდე დეპარტამენტის მოწყობა არ შეესაბამებოდა ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებსა და საქმიანობებს. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შემუშავდა დეპარტამენტის რეფორმირების კონცეფცია.

რეორგანიზაციის შედეგად ანალიტიკურ დეპარტამენტში ჩამოყალიბდა ორი სამმართველო:

- სტრატეგიული განვითარების სამმართველოს ფუნქციებში შედის რეკომენდაციების მომზადება სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და დანაშაულის პრევენცია, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ინტეგრირებული სისტემა, სტატისტიკური მოდული და ა. შ.

- კვლევისა და ანალიზის სამმართველოს ფუნქციებში შედის სამართლებრივი კვლევები, საზოგადოებრივი აზრის კვლევა და შედეგების ანალიზი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობა. სამმართველოს საშტატო შემადგენლობაში, გარდა იურისტებისა, ასევე შედიან სოციოლოგები.

2.1.2. დანაშაულის სოციოლოგიური კვლევა

„დანაშაულის სოციოლოგიური კვლევის" პროექტის შედეგად ეროვნული მასშტაბით განახორციელდა ვიქტიმიზაციის (დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა მაჩვენებლის), დანაშაულის აღქმისა და დანაშაულის გრძელვადიანი ტენდენციების კვლევა და მონაცემთა ანალიზი. დანაშაულის სოციოლოგიური კვლევა ვიქტიმიზაციაზე ორიენტირებული ამგვარი მასშტაბის პირველი მეცნიერული კვლევითი პროექტია საქართველოში.

კვლევა იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის ფინანსური დახმარებით ჩაატარა კომპანიამ „გორბი". ანალიტიკური დეპარტამენტისა და კომპანია „გორბი"-ს მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, მომზადდა სოციოლოგიური კვლევის კითხვარი. პირისპირ გამოიკითხა 3000 რესპონდენტი და დამუშავდა გამოკითხვის შედეგები. დანაშაულის სოციოლოგიური კვლევის შედეგების საჯარო პრეზენტაცია 2010 წლის 29 ივლისს გაიმართა. დეპარტამენტის მიერ მომზადდა კვლევის შედეგების ანალიზი და ყველა

შესაბამისი მასალა გამოქვეყნდა იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე.

2.1.3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპლემენტაცია

- ცვლილებები სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში

სისხლის სამართლის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შეიქმნა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი. შემუშავდა საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტი, დაზუსტდა და გასწორდა ყველა ის ხარვეზი, რომელიც გამოიკვეთა პრაქტიკოსების (პროკურორები, გამომძიებლები, მოსამართლეები, ადვოკატები) მხრიდან 2010 წ. ჩატარებული ტრენინგების მიმდინარეობისას.

ცვლილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მსჯავრდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მექანიზმის შემოღება, აგრეთვე პროცესის მონაწილეთა დაცვის შესახებ ახალი თავის შემუშავება. კანონპროექტი ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსთან ერთად, 2010 წლის 1 ოქტომბერს.

- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა, იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის მარკეტინგის სამმართველოსა და პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ნოვაციებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის დაგეგმვასა და განხორციელებაში. კამპანიის ფარგლებში მომზადდა სამსერიანი სატელევიზიო ფილმი, განთავსდა გარე რეკლამები, დაიგზავნა ინდივიდუალური წერილები მოქალაქეებთან, მოეწყო საჯარო განხილვები და დისკუსიები. კამპანიის შედეგად მოხდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პოპულარიზაცია, საზოგადოება გაეცნო საპროცესო კოდექსის ნოვაციებს.

- ტრენინგები

იუსტიციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით, ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო პროკურორების ტრენინგში, რომელიც მოიცავდა შემდეგ თემებს:

ა) სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი; ბ) სამართლებრივი წერა; გ) სასამართლოში გამოსვლის უნარ-ჩვევები;

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობით ჩატარდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ტრენერთა ტრენინგი საპროცესო კოდექსის მნიშვნელოვან საკითხებზე;

დატრენინგდნენ პროკურატურის სტაჟიორები და სტუდენტები - სისხლის სამართლის

პოლიტიკის, ეთიკის ნორმებისა და საპროცესო კოდექსის თემებზე.

- ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციები და კითხვარი

უზენაესი სასამართლოს, აგრეთვე ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად შემუშავდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სტანდარტული ინსტრუქციები. აღნიშნული ინსტრუქციები იქნება ერთგვარი სამოდელო დოკუმენტი მოსამართლეებისათვის, რომლითაც ნაფიც მსაჯულს განემარტება უფლება-მოვალეობები, საქმესთან დაკავშირებული სამართლებრივი ნიუანსები და ინდივიდუალური დეტალები. აგრეთვე შემუშავდა ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის მიერ შესავსები კითხვარის ფორმა, რომელიც მოქალაქესთან გაიგზავნება უწყებასთან ერთად.

- პროცესის მონაწილეთა დაცვის პროგრამა

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, შემუშავდა პროცესის მონაწილეთა დაცვის ახალი პროგრამა სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფისათვის. პროგრამა მოიცავს დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებისას გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმებს, აგრეთვე მისი აღსრულების წესებსა და პირობებს.

- ახალი ბრალი

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილების ახალი, გამარტივებული ფორმა, რომელიც არ შეიცავს ზედმეტ ფორმალობებს და არის ადვილად აღქმადი ბრალდებულისათვის. ახალი ბრალი აისახა საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის შესაბამის რეპორტ-ფორმაში.

2.1.4. სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი. აღნიშნული დოკუმენტი აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების წესებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც პროკურორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. დოკუმენტის მიზანია გასწიოს ერთგვარი მეგზურობა სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას, მასში ასახულია ის ზოგადი პრინციპები და კრიტერიუმები, რაც დაეხმარება პროკურორს სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებაში. სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი დამტკიცდა 2010 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის №181 ბრძანებით.

2.1.5. სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა ხორციელდება ანალიტიკური დეპარტამენტის, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის, აგრეთვე მთავარი პროკურატურისა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ. სისტემის მთავარი პრინციპია სისხლის სამართლის პროცესის სრულიად ელექტრონული ფორმით წარმოება და სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში ჩართული ყველა უწყების გაერთიანება ერთიან სისტემაში.

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამასთან დაკავშირებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება როგორც სამართლის, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპერტებისგან.

2010 წელს დასრულდა პროგრამაზე მუშაობა. ჩატარდა პროგრამის ტესტირება და შემუშავდა პროგრამის დანერგვის სქემა. პროგრამა დაინერგა იმერეთში, გურიასა და აჭარაში, მცხეთა-მთიანეთში, აგრეთვე თბილისში, რუსთავსა და გარდაბანში. ამასთან, მიმდინარე წელს სისხლის სამართლის საქმის ელექტრონული წარმოების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ტრენინგის სახელმძღვანელოს შემუშავება, საპილოტე ჯგუფების ტრენინგი, ტრენერთა ტრენინგი, პროკურატურის თანამშრომელთა ტრენინგი, პროგრამის პილოტაჟი ქალაქ რუსთავში, აგრეთვე შემუშავდა სისხლის სამართლის სასამართლოთა საქმისწარმოების პროგრამასთან ინტეგრაციის ამოცანა.

2.1.6. საგამოძიებო სანიშნეები

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა დანაშაულის ზოგიერთი კატეგორიის (მკვლელობა, ქურდობა შეღწევით, სხეულის დაზიანება, ავტოავარიები, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, გაუპატიურება, ტრეფიკინგი, ნარკოტიკული და იარაღთან დაკავშირებული დანაშაული) გამოძიების სტანდარტული სახელმძღვანელოები - „საგამოძიებო სანიშნეები“.

სტანდარტული საგამოძიებო სანიშნეები ძირითადად გამიზნულია შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მომუშავე გამომძიებლებისათვის. სანიშნე არ წარმოადგენს პროცესუალურ დოკუმენტს, მას ერთგვარი დამხმარე, შეხსენებითი ფუნქცია გააჩნია.

საგამოძიებო სანიშნეები გადაეგზავნა პოლიციის აკადემიას სასწავლო კურიკულუმში შესატანად.

2.1.7. სტატისტიკის კონცეფცია - უწყებათაშორისი მემორანდუმი

სისხლის სამართლის სტატისტიკის რეფორმის განხორციელების მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც კოორდინაციას უწევს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

საერთაშორისო სტანდარტების დეტალური ანალიზისა და ევროპის კავშირის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა სისხლის სამართლის სტატისტიკის მეთოდოლოგიის კონცეფცია და მოამზადა უწყებათაშორისი თანამშრომლობის მემორანდუმი სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ.

უწყებათაშორისი თანამშრომლობის მემორანდუმის მიზანია (ა) სისხლის სამართლის სტატისტიკის სფეროში უწყებათაშორის შეთანხმებული პრინციპებისა და სტანდარტების დადგენა; (ბ) სისხლის სამართლის ერთიანი სტატისტიკური ანგარიშის შემუშავებისა და გამოქვეყნების წესების ჩამოყალიბება.

მემორანდუმს ხელი მოაწერა ხუთი უწყების პირველმა პირმა - შინაგან საქმეთა მინისტრმა, იუსტიციის მინისტრმა, სასჯლაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა, უზენაესი სასამართლოსა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თავმჯდომარეებმა. 2010 წლის მაისიდან მოყოლებული ხორციელდება ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიშგება მემორანდუმით გათვალისწინებული წესით.

2.1.8. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია

ანალიტიკური დეპარტამენტი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოა. იგი კოორდინირებასა და ადმინისტრირებას უწევს საბჭოს ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს.

ანალიტიკური დეპარტამენტის კოორდინაციით განახლდა ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის პროექტი.

სტრატეგიაში მოცემულია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტულ სფეროებში არსებული ვითარების ანალიზი, დასმულია კონკრეტული მიზნები და დასახულია ამ მიზნების განსახორციელებელი სახელმძღვანელო პრინციპები. სტრატეგია განახლებადი დოკუმენტია და მისი განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი კორექტივების შეტანა.

დოკუმენტი დადებითად შეაფასა საბჭომ და დაამტკიცა საქართველოს პრეზიდენტმა 2010 წლის 3 ივნისს №376 ბრძანებულებით.

2.1.9. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, ანალიტიკური დეპარტამენტის კოორდინაციითა და ორგანიზებით უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყებისა და

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან.

შემუშავდა მოცულობითი სამთავრობო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მიღწეული შედეგების შენარჩუნებას, განმტკიცებასა და გაღრმავებას და სრულად ასახავს საერთაშორისო ორგანიზაციების (GRECO,OECD) რეკომენდაციებს.

სამოქმედო გეგმაში გაწერილია 2010 (ბოლო მეოთხედი) - 2013 წლებისთვის ანტიკორუფციული და ეფექტური მმართველობის კუთხით დაგეგმილი საქმიანობები - პასუხისმგებელი და პარტნიორი ორგანიზაციების, შესრულების ინდიკატორისა და ვადების, ასევე რისკებისა და ვარაუდების მითითებით.

სამოქმედო გეგმის პროექტი მოიწონა საკოორდინაციო საბჭომ, რის შემდეგაც დოკუმენტი დამტკიცდა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 14 სექტემბრის N 735 ბრძანებულებით.

2.1.10. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციონალიზაცია

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოამზადა ნორმატიული აქტების პროექტები, რომელთა მიზანიც გახლდათ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მაკოორდინირებელი და ხელმძღვანელი მუდმივმოქმედი ორგანოს სტატუსისა და ფუნქციების კანონით განსაზღვრა, საბჭოს შემადგელობის გადასინჯვა და გაფართოება, რაც თავისთავად უზრუნველყოფს საბჭოს სტაბილურ ფუნქციონირებას.

საბჭოს ძირითადი მიზნები და ამოცანები განისაზღვრა კანონით. აგრეთვე ცვლილებების შედეგად, საბჭოს წევრობა, კონკრეტული პიროვნების ნაცვლად, მიბმულია თანამდებობაზე.

2.1.11. კომპიუტერული დანაშაულის კანონპროექტი

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა კომპიუტერული დანაშაულის კანონპროექტი. კანონპროექტის მომზადებაში ჩართული იყვნენ ევროპის საბჭოს ის ექსპერტები, რომლებიც კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის შემუშავებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ. ცვლილებები და დამატებები შევიდა შემდეგ საკანონმდებლო აქტებში: სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონი და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონი.

ცვლილებები კიბერდანაშაულის თანამედროვე ფორმების გათვალისწინებით ახლებურად აყალიბებს კონკრეტული დანაშაულების დისპოზიციებს, ასევე ითვალისწინებს ამ დანაშაულთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების პროცედურებს, რაც ამ დანაშაულის ეფექტური აღკვეთისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველია. კანონპროექტის ფარგლებში ცვლილებები აგრეთვე შეეხო ბავშვთა პორნოგრაფიას,

საავტორო და მომიჯნავე უფლებების წინააღმდეგ მიმართულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს და სხვა. კანონპროექტი პარლამენტმა მიიღო 2010 წლის 24 სექტემბერს.

2.1.12. სამართალდამცავ ორგანოებსა და ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი

კიბერდანაშაულის პროექტის ფარგლებში ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა სამართალდამცავ ორგანოებსა და ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი.

თანამშრომლობის მემორანდუმი ეფუძნება ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებლებსა და სამართალდამცავ ორგანოთა შორის თანამშრომლობის შესახებ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპებს. ხაზს უსვამს რა მოქალაქეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, მემორანდუმი განსაზღვრავს კიბერდანაშაულის ფაქტების გამოძიების პროცესში თანამშრომლობის ძირითად პრინციპსა და ფორმატს.

მემორანდუმს კიბერდანაშაულის პროექტის დასკვნით ღონისძიებაზე ხელი მოაწერეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელმა კომპანიებმა.

2.1.13. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონპროექტი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონპროექტის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იურიდიული სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით. შემუშავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონპროექტი, რომელმაც გაიარა საერთაშორისო ექსპერტიზა. მასში ასახულია ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და იგი შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონპროექტი საშემოდგომო სესიაზე პირველი მოსმენით მიიღო საქართველოს პარლამენტმა.

2.1.14. დაზარალებულთა საკონსულტაციო ცენტრები

2009 წლის მეორე ნახევრიდან, ანალიტიკური დეპარტამენტი მონაწილეობდა მთავარი პროკურატურის პროექტში, რომელიც ითვალისწინებს დაზარალებულთა საკონსულტაციო ცენტრების შექმნას პროკურატურის სისტემაში. პროექტის მიზანია დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირების დახმარება მათთვის უფლება-მოვალეობათა განმარტებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის მიწოდების გზით.

ანალიტიკურმა დეპარტამენტმა მოამზადა პროექტის კონცეფცია, შეიმუშავა საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები და თანამშრომელთა სახელმძღვანელო.

2010 წელს გაიხსნა დაზარალებულთა საკონსულტაციო ცენტრები პროკურატურის 3 ოფისში (თბილისი, ქუთაისი და ბათუმი). ცენტრები დაკომპლექტდა კონკურსის წესით შერჩეული 6 თანამშრომლისაგან, რომლებმაც გაიარეს სპეციალური ტრენინგი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებსა და სამართლებრივ საკითხებში.

2.1.15. განრიდებისა და მედიაციის პროექტი

2010 წლის 30 სექტემბერს საქართველოს სისხლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების შედეგად, საქართველოში დაინერგა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, რომელიც არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალ მექანიზმს წარმოადგენს.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციისა და ანალიტიკური დეპარტამენტის ერთობლივი პროექტია. დეპარტამენტი აქტიურად მონაწილეობდა პროგრამის შემუშავებისა და იმპლემენტაციის ყველა ეტაპზე, მათ შორის დოკუმენტაციის მომზადებასა და ტრენინგების ჩატარებაში.

პროექტის ფარგლებში მომზადდა სახელმძღვანელო მითითებები პროკურორებისათვის განრიდებისა და მედიაციის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია 2010 წლის 12 ნოემბრის იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანებით.

2.1.16. განრიდება (ტრანსაქცია)

ანალიტიკური დეპარტამენტის კიდევ ერთი ინიციატივაა ტრანსაქციის ინსტიტუტის შემოღება სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. კონცეფციის თანახმად, როდესაც დაწყებულია გამოძიება მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე და იდენტიფიცირებულია პირი (ტრანსაქციის სუბიექტი), რომლის მიმართაც არსებობს დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი, პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის შესახებ და გამოიყენოს ტრანსაქცია.

ტრანსაქციის განხორციელება შესაძლებელი იქნება ტრანსაქციის სუბიექტის თანხმობისა და სხვა დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.

ტრანსაქციის ინსტიტუტის შემოღება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკისაკენ, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება პროკურატურისა და სასამართლოს რესურსების დაზოგვა, ნასამართლევ და პირობით მსჯავრდებულ პირთა რაოდენობის შემცირება, პატიმართა რაოდენობის შემცირება.

ამჟამად მომზადებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა და დამატებათა კანონპროექტი. დეპარტამენტის ინიციატივით, მომავალი წლის იანვარში საქართველოს ეწვევიან ჰოლანდიელი და ავსტრიელი პროკურორები. ექსპერტები მონაწილეობას მიიღებენ პროექტის განხორციელებაში.

2.1.17. პროექტი „არჩევანი შენზეა“

„არჩევანი შენზეა“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს ერთობლივი პროექტია. პროექტის ძირითადი მიზანია სკოლებში ჯანსაღი გარემოს შექმნა, უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია.

დადგენილია, რომ არასრულწლოვანზე ყველაზე დადებით გავლენას ახდენს იმ პიროვნების წარმატებული მაგალითი, რომელთანაც მარტივად შეუძლია საკუთარი თავის გაიგივება. პროექტის ფარგლებში გარკვეული პერიოდულობით სკოლებს ეწვევიან იმავე სკოლის გამოშვების წარმატებული ადამიანები, რომლებიც გაესაუბრებიან მოსწავლეებს, მოუყვებიან საკუთარი წარმატების ისტორიას, აჩვენებენ კარგ მაგალითს და გულწრფელად გაუზიარებენ, თუ რა ქცევამ და თვისებებმა განაპირობა მათი წარმატება. პროექტი განხორციელდება სამოქალაქო სექტორის მიერ, ანალიტიკური დეპარტამენტის კოორდინაციითა და USAID-ის (United States Agency for International Development) ფინანსური მხარდაჭერით.

2.1.18. სტატიების კონკურსი თემაზე „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეფექტური მექანიზმები“

ანალიტიკური დეპარტამენტისა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გამოცხადდა სტატიების კონკურსი თემაზე „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეფექტური მექანიზმები“. სტატიების კონკურსის მიზანია, უკეთ გააცნოს სტუდენტებს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის თემა, მისცეს მათ საშუალება წარმოადგინონ თავიანთი ხედვა და შემოგვთავაზონ ამ პრობლემასთან ბრძოლის მეთოდები.

სტატიების კონკურსის პირველმა ეტაპმა წარმატებით ჩაიარა. განაცხადები და ნაშრომის მოკლე აღწერილობები წარმოადგინეს თითქმის ყველა მოქმედი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტება. საკონკურსო კომისიამ უკვე შეარჩია 11 საუკეთესო განაცხადის ავტორი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მეორე ეტაპში და დაწერენ ნაშრომს მოცემულ თემაზე. საუკეთესო ნაშრომთა ავტორები მონაწილეობას მიიღებენ კონფერენციაში, ხოლო გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან.

2. 2 სამართლებრივი კვლევა და ანალიზი

დეპარტამენტმა მოამზადა შემდეგი სამართლებრივი და ანალიტიკური კვლევები:

1. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება ევროპის სახელმწიფოებში;
2. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის მოქმედება საქართველოში - ანალიზი;
3. პირობით ვადამდე გათავისუფლების კრიტერიუმები;
4. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაბორატორიის შესახებ არსებული ექსპერტთა დასკვნების ანალიზი;
5. ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციების შესაბამისობა ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან;
6. რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ მთავრობის დადგენილების პროექტის შესაბამისობა საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობასთან;
7. საპროცესო შეთანხმების ცალკეული კომპონენტები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით;
8. სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით;
9. Obligation to provide official translation of indictment under European Court of Human Rights Case Law;
10. საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის აღქმის ინდექსის რეიტინგის წყაროები;
11. Prevention of juvenile crime in Europe and in USA;
12. არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა - შედარებითი ანალიზი საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებით;
13. სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოების საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა;
14. პროკურორთა ქცევის სტანდარტების საერთაშორისო პრაქტიკა ამერიკის შეერთებული

შტატების, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის მაგალითზე;

15. ამოცნობის პროცედურა - საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის ანალიზი;

16. მსჯავრდებულის გათავისუფლება სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საფუძველზე - საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი;

17. GRECO-ს მიერ სხვადასხვა ქვეყნებისათვის გამოცემული რეკომენდაციებისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი;

18. საერთაშორისო გამჭვირვალობის „გლობალური კორუფციის ბარომეტრის“ 2010 წლის შედეგების ანალიზი;

19. არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი;

20. საპროცესო შეთანხმების დადება - საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი;

21. ტრანსაქციის ინსტიტუტი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით;

22. არასრულწლოვანთა განრიდების მექანიზმის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი;

23. პერსონალურ მონაცეთა დაცვის კანონპროექტისა და ევროპული სტანდარტების შედარებითი ანალიზი;

24. The Crime of Illicit Enrichment and Related Institutions under the Georgian Legislation;

25. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კონცეფციის ჩარჩო.

2.3. ანგარიშები და კითხვარები

დეპარტამენტი უშუალოდ ამზადებს და ხშირ შემთხვევაში მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის წარსადგენი პერიოდული ანგარიშების მომზადების პროცესში.

2.3.1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)

დეპარტამენტმა მოამზადა კომენტარები და საპასუხო დოკუმენტი ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მეორე რაუნდნის შეფასების ანგარიშის პროექტზე. მომზადდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ანგარიშის ადაპტირებული ქართულენოვანი ვერსია, ორგანიზციისათვის წარსადგენი დანატებითი ინფორმაცია და სხვა ტიპის ანგარიშები.

2.3.2. სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO)

დეპარტამენტმა მოამზადა კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფისათვის (GRECO) წარსადგენი ორი ანგარიში კორუფციის კრიმინალიზაციისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების თემებზე. ასევე შემუშავდა პასუხი დამატებით კითხვებსა და მოთხოვნებზე. ამასთან, მომზადებულ იქნა GRECO-სათვის წარსადგენი დამატებითი ინფორმაცია ორგანიზაციის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. მომზადდა GRECO-ს მიერ მესამე რაუნდის ფარგლებში შეფასებული 28 ქვეყნისთვის გამოცემული რეკომენდაციების ანალიზი - კორუფციული დანაშაულის კანონმდებლობა და პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსება.

2.3.3. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და კითხვარები

ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ ასევე მომზადებულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში წარსადგენი კითხვარების შესაბამისი ნაწილები დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, კერძოდ:

- ევროპის საბჭოს და გაეროს ერთობლიობლივი კითხვარი ადამიანით ვაჭრობის, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ვაჭრობის შესახებ (Questionnaire on the Joint Council of Europe – United Nations Study on Trafficking in Organs, Tissues and Cells and Trafficking in Human Beings for the Purpose of the Removal of Organs);

- OSCE Questionnaire - Study of legal provisions and practices related to freedom of expression, the free flow of information and media pluralism on the Internet in the OSCE participating States;

- ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (ENP Action Plan) შესრულების ანგარიში;

- აღმოსავლეთ პარტნიორობის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პანელი - Questionnare “Anti-Corruption and Good Governance Framework: General Review of EAP Status and Need for Reform”;

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კითხვარი ტრეფიკინგის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ;

- Report on the Compliance with the Commitments and Obligations under the Council of Europe;

- ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის მხარდაჭერის პროექტისათვის (GEPAC) წარსადგენი პერიოდული ინფორმაცია;

- Georgia – NATO - Annual National Plan Report.

2.3.4. შიდა ანგარიშები

დეპარტამენტმა მოამზადა შემდეგი ანგარიშები:

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ პროგრეს ანგარიში;

2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები;

3. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები;

4. საქართველოსპარლამენტისათვის სამინისტროს ანაგარიშის წარდგენის მიზნით დეპარტამენტის 2009-2010 წლების საქმიანობების ანგარიში;

5. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით 2010 წელს დასახული სტრატეგიის ფარგლებში I, II და III კვარტალში განხორციელებული ღონისძიებების ანგარიში.

2.4 ღონისძიებები

დეპარტამენტმა ორგანიზება გაუკეთა შემდეგ ღონისძიებებს:

1. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) ვიზიტი და მონიტორინგის მეორე რაუდნის ანგარიშის პრეზენტაცია;

2. GRECO-ს მეორე რაუნდის შეფასების ვიზიტი;

3. ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტების პრეზენტაცია მედიისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის;

4. კიბერდანაშაულის რეგიონული კონფერენცია;

5. კიბერდანაშაულის პროექტის დასკვნითი ღონისძიება;

6. მრგვალი მაგიდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონოპრექტის განხილვის მიზნით;

7. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების კანონპროექტის პრეზენტაცია;

8. დანაშაულის სოციოლოგიური კვლევის შედეგების პრეზენტაცია.

2.5 სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელობა

ანალიტიკური დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებს, კერძოდ: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის, სისხლის სამართლის სტატისტიკისა და პენიტენციალური რეფორმის სამუშაო ჯგუფები.

2.6 საერთაშორისო წარმომადგენლობა და ვიზიტები

დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროს წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და კიბერდანაშაულის სფეროში არსებულ სხვადასხვა ფორუმებზე. წლის განმავლობაში განხორციელდა სართაშორისო ვიზიტები, კერძოდ:

- სასწავლო ვიზიტი სლოვენიის ქ. ლუბლიანაში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

- ქ. სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ეგიდით, კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე გამართული კონფერენცია;

- ქ. სტრასბურგში სახელმწიფოთა ჯგუფის კორუფციის წინააღმდეგ (GRECO) ეგიდით, კონფერენცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

- ქ. ამსტერდამში, სამუშაო ვიზიტი დანაშაულის სოციოლოგიური კვლევის ექსპერტთან, პროფესორ იან ვან დაიკთან დანაშაულის სოციოლოგიური კვლევის შედეგების, ანგარიშის მომზადების მეთოდიკა და კოეფიციენტების განსაზღვრის წესის განხილვა;

- საფრანგეთის ქ. სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედ პროგრამის „ადამიანის უფლებები იურიდიულ პროფესიაში“ სამუშაო შეხვედრა;

- ნიდერლანდების ქ. ჰააგაში ნიდერლანდების იუსტიციის სამინისტროში სამუშაო ვიზიტი;

- რუმინეთის ქ. ბუქარესტში, რუმინეთის ეროვნული ინტეგრაციის სააგენტოსა და ევროპის კავშირის ეგიდით დაგეგმილი კონფერენცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე (კორუფციის პრევენცია და აღმოფხვრა);

- ქ. ბრიუსელში„აღმოსავლეთ პარტნიორობის'' ფარგლებშიშექმნილი ანტიკორუფციული პანელის სხდომა;

- ქ. ვილნიუსში ინტერნეტ მმართველობის ფორუმი;

- თურქეთის ქ. ანკარაში, კონფერენცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე;

- საფრანგეთის ქ. სტრასბურგში, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) 48-ე პლენარული სხდომა;

- ქ. ბრიუსელში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის'' ფარგლებში პირველი პლატფორმის სხდომა;

- საფრანგეთის ქ. სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი პროგრამის „ადამიანის უფლებები იურიდიულ პროფესიაში“ შეხვედრა;

- ქ. ვარშავაში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის'' ფარგლებში მესამე პლატფორმის სხდომა;

- ხორვატიის ქ. დუბროვნიკში, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ორგანიზებით გამართული კონფერენცია „ორგანიზებული და კორუფციული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე'';

- საფრანგეთის ქ. პარიზში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (OECD) და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის (ACN) მონიტორინგის მე-9 შეხვედრა;

- უკრაინის ქ. კიევში, ევროპის საბჭოს ფარგლებში კონფერენცია არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის თემაზე.

2.7. სხვა აქტივობები

2010 წელს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა:

- მონაწილეობა მიიღო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ კონსტიტუციური სარჩელის განხილვაში - „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქმე შეეხებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის 5[1] ნაწილის კონსტიტუციურობის საკითხს. ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავესტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა, სპეციალისტის სტატუსით წარადგინა დასკვნა და უპასუხა, როგორც მხარეთა, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრთა შეკითხვებს.

- მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის შესახებ პრეზენტაციისა და ბროშურის ტექსტის მომზადებაში, აგრეთვე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ პრეზენტაციისა და ბროშურის ტექსტის მომზადებაში;

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთობლივად მოამზადა სკოლებში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის პროექტის კონცეფცია;

- Presentation for the Workshop on Implementation of UNCAC into domestic legislation and practice).

III. რას ვაპირებთ - ჩვენი სამომავლო გეგმები:

1. დეპარტამენტის აქტივობათა ხელშემწყობი პროექტის შემუშავება ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში;

2. სისხლის სამართლის ახალ კოდექსზე მუშაობის დაწყება;

3. პროკურორთა სახელმძღვანელო წესების კრებულის განახლება;

4. პროკურორთა მიერ გაიდლაინების შესრულების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;

5. პროკურორების მიერ საპროცესო დოკუმენტების შედგენის ხარისხის მონიტორინგი;

6. დანაშაულის პრევენციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

7. სისხლის სამართლის საქმის მართვის ინტეგრირებული პროგრამის სტატისტიკურ-ანალიტიკური მოდულის შემუშავება;

8. სისხლის სამართლის საქმის მართვის ინტეგრირებული პროგრამის დანერგვა იურიდიულ ფაკულტეტებზე სპეციალური კურსის სახით;

9. დანაშაულის სოციოლოგიური კვლევა 2011;

10. ციხეების გადატვირთულობის კვლევა;

11. დანაშაულის რეციდივის კვლევა;

12. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის იმპლემენტაციის ხელშეწყობა;

13. ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი, ამ მიზნით მონიტორინგის გეგმების შექმნა სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ყველა უწყებისათვის;

14. კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფისა (GRECO) და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი;

15. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პანელის სხდომა და კონფერენცია;

16. არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის საკითხის რეგულირება;

17. არასრულწლოვანთა დამნაშავეობის კვლევა - არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის კონცეფციისა და შესაბამისი მემორანდუმის შემუშავება.